ნიანგი

18

ISSN 0132-6015

სექტემბერი

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი

სალაღოგო სტრიქონები 60 წლის რომან მიმინოშვილს

(აკციპიტერს)

ნაღდ მეცნიერს, პოეტს,
მთარგმნელს,
„ლიტგრუზიის“ მთარედაქტორს,
მოგილოცავ იუბილეს,
მის გადახდას მთავრობას ვთხოვ!
შენ ქართულად ააჟღერე
პოეზია ძველბერძნული
და ქართულით გაუნათე
ჰომეროსის ღმერთებს სული!
თუნდაც მარტო „ილიადის“
დიდებულად თარგმნა რად ღირს!
სულ ახლახან გაგვახარე
„ჰომეროსის სამყაროთი“
დაუღალავად ვკითხულობდი
მას დილიდან საღამომდი!

მეგობრული შარჟი მწერალ
თენგიზ გოგოლაძისა

საკადრისად ამათრახებ
ყველა ჯურის ანტ[illegible],
ვინც ცილს გვწამებს, გვლანძღავს,
გვთათხავს,
ენას, კალამს შხამში აწებს!..
გვმართებს შენებრ გადენთება,
სანამ ნალმი აფეთქდება!..
შენი მწვავე წერილები
იკითხება რომანივით!
(„ტ ა რ ხ უ ნ ა შ ი“ გადაგიხდი
საყიდელ ფულს, რომან,
„ნ ი ვ ი ს“!).
გეფერები და გცემ პატივს,
საყვარელო აკციპიტერ!
სამოცის — ხარ! ასპარეზად
მომიცია ასი კიდევ!..
და საჯაროდ მითქვამს შენთვის:
რაც გითესავს, მას იმკიდე!
P. S.
უნდა გთხოვო ერთი რამე —
დაეხმარე ჩვენს „დინამოს“!

„ნიანგის“ დავალებით
ზაურ ბოლქვაძე

იუმორესკა

კაცმა რ ო მ თქვას, მე მხოლოდ ბალახი ვარ, იქნებ მრავალწლიანი, მაგრამ მაინც ბალახი. იქნებ უფრო კულტურულიც ვიყო, ვიდრე ჩემი თანამოძმენი, სარეველას რომ ეძახიან, მაგრამ მაინც მათი ჯიშისა და ჯილაგის ვარ. ერთიც უნდა ვთქვა: ჩემს თავზე გაცილებით ნაკლები წარმოდგენა მაქვს, ვიდრე ადამიანებს ჰგონიათ, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მნიშვნელობა კულინარიის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს, ადამიანებმა კი პოლიტიკის საგნადაც მაქციეს. აბა, სად მე და სად პოლიტიკა? მაინც დამაინტერესა, რას ფიქრობენ ჩემზე ადამიანები და ლექსიკონში ამოვიკითხე სახელწოდება: **„არტემიზია დრაკუნკულუს“**. აუჰ! ძალიან სერიოზული სახელი მქონია ლათინურ ენაზე! ჩემი პატრონი გლეხია, ის რომ არ მივლიდეს, მართლა სარეველა ვიქნებოდი. იფიქრა გლეხმა, ეს ბალახი გემრიელი და სასარგებლოა, მარტო მე ხომ არ უნდა ვჭამოო, და, თუმცა ჩემი ლათინური სახელი **„არტემიზია დრაკუნკულუსი“** არ იცოდა, კიდევ უკეთესად მომიარა და სხვებსაც გაასინჯა. სანაცვლოდ ჯიბეში ვერცხლისფერი მრავალი ფირფიტები ჩაიჩხრიალა, ახირებული კაცია! საჭირო ყოფილა, რომ ვილაცას ის ფირფიტები დაეთვალა, სანამ გლეხი ჯიბეში ჩაიჩხრიალებდა, და განესაზღვრა, რამდენი ეკუთვნოდა ტარხუნის მომყვანს. ასე გაჩნდა ბუღალტერი. მაგრამ ბუღალტერმა არც ფულის თვლა იცოდა და არც ტარხუნისა, მას მხოლოდ საანგარიშოს ჩხაკაჩხუკი ეხერხებოდა და იქიდან ქაღალდზე ციფრების გადატანა. შემდეგ გაჩნდნენ მწონავები, საწყობის გამგეები, დარაჯები და ექსპედიტორები. ამათ კი დასჭირდათ დირექტორი, დირექტორს — მოადგილე, პირადი მდივანი და მანქანა, აღარაფერს ვამბობ მაცივარსა და კონდიციონერზე. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ტარხუნას მარტო მოყვანა კი არა, გასაღებაც უნდა, ასე გაჩნდა ტარხუნის მიმღები პუნქტი, რომელსაც თავის მხრივ ბუღალტერიც დასჭირდა, საწყობის გამგეც და დირექტორიც თავის მოადგილიან-მდივნიან-მაცივრიანა. ასე გაჩნდა ორი დირექცია. მაგრამ ხომ უნდა ყოფილიყო ვილაც მათზე უფროსიც, რომელიც ერთ დირექტორს დაავალებდა—შენ ამდენი ტარხუნა მოიყვანეო და შემდეგ მეორეს უბრძანებდა—შენ კი ამდენი მიიღეო! ასე გაჩნდა ტარხუნტრესტის მმართველი. ტარხუტრესტის მმართველს ორი მოადგილე გაუჩნდა: ერთი—ტარხუნის მოყვანის დარგში, მეორე კი — მიღების დარგში. ტარხუნტრესტის მმართველს სხვა ატრიბუტებთან ერთად ფერადი ტელევიზორიც აქვს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ტრესტი მარტო ბუღალტრით ვერ დაკმაყოფილდებოდა და გაჩნდა ბუღალტერია საკმაოდ მოზრდილი შტატით და აგრეთვე საგეგმო განყოფილება. დაუგეგმავი ტარხუნა რა ტარხუნაა, ყოველ შემთხვევაში **„არტემიზია დრაკუნკულუსს“** მაინც ვეღარ ვუწოდებთ! თითქოს ყველაფერი წესით და რიგით მიდიოდა, რომ გამოირკვა: სანამ ტარხუნა საბჭოთა მშრომელის სუფრაზე მოხვდებოდა, მას კიდევ ერთი გზა უნდა გაევლო: დამზადებიდან რეალიზაციამდე. ეს უკვე სხვა დარგია, ეს ვაჭრობაა. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიქმნა ამისთვისაც სპეციალური ტრესტი. მაგრამ ორ ტრესტსაც, ტარხუნტრესტს და მის მეზობელ „გლავტარხუნრეალიზაციის“ ტრესტს ხომ სჭირდებოდა საერთო ხელმძღვანელი? ასე შეიქმნა ბალჩეულობის სამინისტროში „გლავტარხუნპრავლენიე“, თავისთავად ცხადია, დედაქალაქში. საჭიროებამ მოიტანა და ჩამოყალიბდა ოთხი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელთაც სათავეში ჩაუდგნენ აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, გაიხსნა ინსტიტუტების ფილიალები ბარნაულში, ვორკუტასა და კამჩატკის პეტროპავლოვსკში. გაზეთებში სიამაყით წერდნენ, რომ ამ ინსტიტუტებში 600-მდე მეცნიერებათა დოქტორი და 14 ათასი კანდიდატი მუშაობს. მთავარმა სამმართველომ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ტარხუნის განვითარებას, დაიწერა აუარებელი განკარგულებები, ცირკულარები, მეთოდური რეკომენდაციები ჩითილების დროულად ჩარგვის, ტარხუნის ფოთლების გარეცხვის, ტრანსპორტირებისა და სხვა საკითხების გარშემო. რაც მთავარია, შედგა წლიური და ხუთწლიანი გეგმები, რომელნიც შესაბამისად ცხრა თვეში და ოთხ წელიწადში გადაჭარბებით სრულდებოდა; წამოვიდა ზემოდან ასიათასობით ბრძანება, ქვემოდან ზემოთ გაფრიალდა მილიონობით ანგარიში და პატაკი, ტარხუნის ყოველ ფურცელზე რამდენიმე ფურცელი ქაღალდი მოდიოდა. ფართო მუშაობა გაშალეს კომისიებმა, რომელნიც ამოწმებდნენ ფინანსურ, სანიტარიულ, მორალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებას, თავის მხრივ ამ კომისიებს ამოწმებდნენ უფრო მსხვილი კომისიები, ხდებოდა შემოწმებები ვერტიკალურად, ჰორიზონტალურად, დიაგონალურად და ჯვარედინად. სულ მალე გახდა ცნობილი, რომ ჩვენმა ქვეყანამ ერთ სულ მოსახლეზე ტარხუნის წარმოებაში გადააჭარბა ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადასა და ინგლისს, ერთად აღებულს! დარიგდა მრავალი გარდამავალი დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, მრავალი ორდენი და სამეცნიერო ხარისხი. გული სიამაყით მევსებოდა, ლამის მწყინდა კიდეც, რომ ძველებურად ტარხუნას მეძახდნენ და არა **„არტემიზია დრაკუნკულუსს“**. მაინც რა შემძლებია, რამდენ ხალხს ვარჩენ! **„მაგრამ დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“** — მართალი უთქვამს დიდ პოეტს. გარდაქმნა უნდა დავიწყოთო, უთხრეს ჩვენს უფროსებს — დირექტორებს, მმართველებს, მმართველთა მმართველებს. და კვლავ წამოვიდა გადაწყვეტილებები, ბრძანებები, ცირკულარები, რეკომენდაციები და წავიდა საპასუხო ანგარიშები, ოქმები და სრულიად ახალი რამ — წინადადებები!.. რა გვიშლის ხელს, რა არის ზედმეტი, რა უნდა გავაუქმოთო, ფიქრობდა დიდი და პატარა. გადახედეს სამმართველო აპარატს, — გაბერილია, მოუქნელიაო. გადააკეთეს ორი ტრესტი სამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, მთავარი სამმართველო ბალჩეულის სამინისტროდან ბოსტნეულის სამინისტროში გადაიტანეს და გააუქმეს გლეხის შტატი, რომელიც ჩემთვის იყო გამოყოფილი. სხვა ვერავინ ვერაფერს მიხვდა, ჩემს გარდა: ერთადერთი მე ვუშლიდი ხელს ამ საათივით აწყობილ მექანიზმს. ერთადერთი მე ვიყავი, გეგმას რომ არ ვაჭარბებდი და არც ვინმეს ვაბარებდი ანგარიშს. ისევ ის მეფის დროინდელი ტარხუნა ვიყავი, რომელსაც სოციალური გარდაქმნების მადლი არ მომცხებია. ახლა ვარ მე ჩემთვის და ჩემი შექმნილი ორგანიზაციები — თავისთვის. მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული: მოუვლელობით სარეველას ვემსგავსები და აღარავინ დამიძახებს ლამაზ სახელს — **„არტემიზია დრაკუნკულუსს“!**

აკციბიტერ

ნახ. გ. ზუგაშვილისა



უსიტყვოდ

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲝᲧᲕᲐ

ზურგის ქარი იალქნებს
    არხევს და აშრიალებს,
ნავი კი
    ადგილიდან არ იძვრის!
ქვეყნის წინსვლას აფერხებს,
    გულს ხრავს და აჩიავებს
საზარი სენი — ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი!
მასთან უძლურია
    ცხრა ძმა ხერხეულიძე,
რადგან მას ძალა აქვს
    ათი ძმის!
სიკეთეს, სიცოცხლეს
    ტყვიას ზურგში უმზნებს
საშინელი ურჩხული —
    ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი!

მისი მისამართია:
    ტრიბუნა, სავარძელი,
ის დაბალ საფეხურზე არ იცდის,
თავი კი მოაქვს,
    ვით ქვეყნის ჯავარდენი,
ოჰ, ოჰ, ოჰ!..
    ეგ ჭირი — ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი!
ადიხარ კიბეზე,
    კიბის საფეხურიც დაჭმულია,
ერთ საქმეზე
    რამდენჯერ მიხვიდე, არ იცი!
ქაღალდი, ქაღალდი!..
    ქსელები გაბმული აქვს,
ისეთი ობობაა ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი!
ის თითქოს სუფთაა,
    შავი „ვოლგით“
        მეფობს და შეფობს,
სხეულს ადგილიდან
    ადგილზე გადისვრის,
მაგრამ ქალაქის ტუალეტში
ცხვირსაც ვერ შეყოფ,
ისეთი სუნი დგას...
    ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი ს!

გარდაქმნა?
    ბიუროკრატს რად უნდა გარდაქმნა,
ისედაც კარგად არის,
    პარპაშობს ნებივრად,
მისი სიტყვა ქარს მიაქვს
        ქარდაქარ,
ის დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს მტერია!
შედი, ჩაეწერე,
იქნება მიგიღოს,
გეტყვის, რომ
    მშრომელი ფასდება!
თვითონ თუ არ არის,
    მოადგილეა...
        იგივე...
საქმე ანყობილია — არ ცდება!
ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ს ჰყავს
    მოადგილე და შეგირდი
(ის არ არის პერსონა უცვლელი),
ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი
    რომ არ შეფერხდეს და შენელდეს,
არსებობს კადრები... კურსები!
და არის ბრტყელ-ბრტყელი
        სიტყვა და ღაღადი,
ცრუობა, ცრუობა ათპირი!..
ქაღალდი,
    ქაღალდი, ქაღალდი, ქაღალდი,
რეკვა და სხდომა და
        თათბირი!
ტანკებით გადმოსულ
    მტერს ვძლიეთ,
        დავამხვეთ,
გამარჯვების
    ზეიმიც გვეწვია,
ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ თ ა ნ კი
    ვერაფერი გავაწყვეთ, —
ო, ეს რა საშინელი მ ხ ე ც ი ა!

ნახ. ვ. კუცია

— აი, სამაგალითო მეურნეობა! ტექნიკა არა აქვთ მიტოვებული!..
— პირიქით, ბატონო, ტექნიკა არც გამოუყვანიათ!

ქათამმა ერთი კვერცხი დადო და კაკანით სოფელი აიკლო! ქართველმა ერთი შვილი გაზარდა და ქვეყანა შეყარა!

-:-

თბილისს ჭადრები კი არა, თბილისელები ამშვენებენ!

-:-

— რას ანგარიშობ?
— შარშან სოფელში ოთხმოცი კომლი ცხოვრობდა, ახლა დავთვალე და სამოცი ბუხრიდან ამოდის კვამლი. ვანგარიშობ, რამდენ წელში დაიცლება სოფელი!

-:-

— თონეში პურს აღარ აცხობენ, ცხვარ-ძროხა-ქათმის ყოლაზე ხელი აიღეს, საკარმიდამოსღა უვლიან.
— მაშ, რა ასაზრდოებთ?
— ქალაქის სასურსათო მაღაზიები.

-:-

ცოლი — ქმარს: — შალვა, მომეცი 50 მანეთი, საკაბე მინდა ვიყიდო!
— თვითდაფინანსებაზე გადავედი, გენაცვალე, და ასეთი თხოვნით აღარ მომმართო!

-:-

— რა მოგვცა კოოპერირებამ?
— სარდაფები სამოთხეებად გვიქცია!

-:-

— შვილო, უმაღლესი დაგამთავრებინე, ქორწილი გადაგიხადე, მანქანა გიყიდე, ბინა აგიშენე!.. ჩემი ეკონომიკური რესურსები ამოიწურა!.. გადადი ახლა თვითდაფინანსებაზე, თვალი გიჭრის და მარჯვენა გერჩის! მე უკვე დავბერდი!..

ჯონი გაზერაშვილი

ჩვენო გზის მშენებლებო!

მალალი ღმერთი გფარავდეთ გეგმებისა თუ შემხვედრი გეგმების შესრულებისა და თანხების ათვისების საქმეში! მიწიერი ცხოვრება იმით გამოირჩევა ზეციერისაგან. რომ ძეხორციელმა ყველაფერი უნდა იღონოს თვიური თუ კვარტალური გეგმების გადაჭარბებით განაღდებისათვის. ჩემთვის, როგორც ხუროს მეუღლისათვის, კარგად არის ცნობილი, თუ რაოდენ ძნელია სამშენებლო მასალების შოვნა. მახსოვს, ჩემს იოსებს რამდენი მიდგომ-მოდგომა სჭირდებოდა ხის მასალის შოვნისათვის, მაგრამ თუ ვინმეს პირობას მისცემდა, ცეცხლში ჩადგებოდა და დანაპირებს აუცილებლად შეუსრულებდა!

ამ სამიოდე წლის წინ მამაზეციერსა და ივანე ნათლისმცემელთან ერთად თვალყურს ვადევნებდი **მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში საავტომობილო გზის გაფართოების სამუშაოთა მიმდინარეობას და როდესაც ბულდოზერი ჩემი სახელობის ეკლესიას მიადგა და წინასწარი სამაგრი სამუშაოების გარეშე ძირი გამოუთხარა, მიქელ-გაბრიელმა ეჭვიანი თვალებით გადმომხედა.**

— შენ ჩემი სიტყვა დაიხსომე, მარიამ, და ნახავ, თუ გზის მშენებლები დადებულ პირობას შეასრულებენ!..

— რას ამბობ, გაბრიელ?! შენ შენი ყურით გაიგონე, როგორ იფიცებოდნენ! სიტყვის გატეხა ხომ უმძიმესი ცოდვაა ადამის შვილებისათვის?! რა პასუხი უნდა გასცენ მერე ან ცასა, ან დედამიწას?!

— რა ვიცი. **შიომღვიმის გზაზეც** ასე იყო ნათქვამი, ერთ წელიწადში დავამთავრებთ რეკონსტრუქციასო, მაგრამ მესამე წელი გადის და დამთავრებას ჯერაც არ უჩანს პირი!..

ისე არ ასრულდეს მიქელ-გაბრიელის ყველა სიტყვა, როგორც ის ეჭვი გამართლდა. ამას წინათ, როგორც იყო, დაამთავრეს საყრდენი კედლის მშენებლობა ძეგვში, მაგრამ შიომღვიმის გზა ისევ ისეა ყველასაგან მიტოვებული!..

შვილნო ჩემნო, რა საკადრისია სიტყვის გატეხა?! ერთი ციდა გზა ბაბილონის გოდოლი ხომ არ არის, მიწიდან დაიწყოთ და ზეცამდე ამოხვიდეთ?! მაგ პატარა საქმეს ხელის განძრევა კი არა, თითის განძრევაც ეყოფა და განა ღირს მაგის გულისთვის პირშერცხვენილებმა იაროთ დედამინაზე?!

მარიამ ღვთისმშობელი

ცოცხალი ლაბორატორია ლაბორატორიაში

**ფრიდან ნაბურ საქმეებზე თბილისიდან გავიდა და იმავე დღეს ხაშურს მიაღწია „ნიანგის“ მალემსრბოლელი გარდაქმნის, სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლის, აგრეთვე ხაშურების ქუქანაა და ცრუ, ლიბერალური პასუხების აკენკის დარგში კიდი ბიგის ბე ჭიკჭიკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯულიეტა მილდიანი

სატირული ლირიკა

„შუსტრებს"

დაიძაბა საუკუნე,
ნერვები ნასკვზე გამოებნენ!..
გაიმართა მარათონი,
ყველა თავის მიზანს ურბენს!.
ვინ — მამულებს, ვინ — სიმშვიდეს,
ვინ— სიცოცხლეს
ერთურთს ურბევს!.
აერიათ გზა და კვალი
სინდისთა და ნამუსთ უბნებს!.
გამწარებულ მარათონზე
(ჭირს გაგება!)
ვინ ვის უსწრებს!.
სარბიელი მათ ეკუთვნით —
ენერგიულთ, საქმით „შუსტრებს"!.
ულირსი და უსაქმური
ხშირად ჭკვიანს თავგზას უბნევს,
ხშირად ერთ ტაფაში ნევავენ
კაცს ვარგსა და კაცსა ურგებს!.
პარპაშებენ ოქრო-ვერცხლით,
კვლავ მეტი შურთ მუდამ უძლებთ,
ჭიანჭველად აღარც ულირთ,
ვინც შებმულა შრომის უღელს.
კიბეებზე ზოგი ფორთხვით,
ზოგი ხტუნვით მიდის მაღლა,
ზოგი ისე მიგელაობს,
არ ეტყობა სულაც დაღლა.
ზოგი ისე ფრენით ადის
ამ ცხოვრების კიბეებზე,
არ წუხს სულაც ამქვეყნიურ
ამაღლებულ იდეებზე!.

ღორფერ დრუნჩიანი

იყო... არა იყო... იყო...
ლამის მშივრად მომკვდარიყო;
მერე ოქროს მჩეკავ სიკოს, —
ქლესობას რომ ხელი მიჰყო...
მერე მჭლედაც აღარ იყო,
ტკეჩზე ტკეჩი აღარ იკრა,
როგორც ძარცვას ხელი მიჰყო,
მტაცებელი ზვიგენ იყო...
ნთქავდა ყოველთ მისთ უმცირეს,
ლაჩართ შიშით რომ უმზირეს.
მოიხვეჭა სიმდიდრე და
არც სალამი გაუძვირეს.
მან რომ არ თქვა, მან რომ არ ქმნა,
არ დარჩა რა უკადრისი,
ყოველ ბინძურ ხვრელში გაძვრა,
ვაი ბედშავს, ბრალი მისი!
ღორფერ იყო დრუნჩიანი,
თუმცა ნათლავს ყველა ნოლად.
ჭარბ სიბილწის დასამალად
მოსამართლე იფსკვნა ცოლად.
მერე ცოლის იქცა მხევლად,
მარაოთა დამმარხველად...
ლაქიასებრ გაიძვერას
იმ ცოდვების მაინც სცხელა.
...დარჩა მხოლოდ ცოლის მხევლად!

ტყუილი

საქმე გამიხდა საქილიკოდ,
ვარ თურმე გადმონაშთი ძველისძველი!
ტყუილს ვერა ვთესავ ბილიკ-ბილიკ,
მაგრამ დარწმუნება არის ძნელი!
ახლა, როცა თურმე ბევრი ტყუის,
მე კი ბრიყვი ვარ და ვამბობ მართალს!..
ფუტკარზე მეტად-მეტქი ბზიკი ბზუის,
არაო, ვერ ვენდობით ბრძენთა დავთარს!
აქეთ შეგონებას არჩევს ზოგი,
მტერმა იხადაო სიმართლის თქმა!
ვერ გრძნობთ, სიცრუის რომ დგას სეზონი,
არ დაიდასტუროო ძველი ალთქმა!



ნახ. დ. თოთიბაძისა

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი

— მე თუ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო?!. — თითქმის ყოველდღე ესმოდათ **თბილისში მე-3 მასივის 1 კვარტლის მე-10 კორპუსის № 21 ბინიდან** გამოსული ხრინწიანი სიმღერა ამ კორპუსის მცხოვრებთ.

ღამის „სერენადის" შემსრულებელი ბინის მეპატრონე **სერგო კარაპეტიანი** გახლდათ. მისი „დამსახურება" იმით გამოიხატებოდა, რომ იგი ადრე **სამჯერ იყო გასამართლებული ლოთობით ჩადენილი დანაშაულის გამო და ნარკომანობისათვის სამჯერ იყო გაგზავნილი საგარეჯოს შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობისათვის!..**

— ნურც ეშმაკი გინდა და ნურც ნაეშმაკარი!.. დაანებე თავი ლოთობასა და ნარკომანობას, ცოლ-შვილს მიხედე! — ურჩევდნენ ახლობლები და მეზობლები სერგოს, მაგრამ ამ უკანასკნელს პასუხი მზად ჰქონდა: — ვერ დავკარგავ ძველსა გზასა, ვერცა ძველსა მეგობარსა!..

სერგო კარაპეტიანი კვლავ აგრძელებდა ნარკომანობასა და მემთვრალეობას, მაგრამ დადგა განკითხვის დღე.

ერთ დღეს, ნარკოტიკები რომ გაუთავდა, თავის დოსტებს მიაკითხა და ნარკოტიკული ნივთიერება 1,7 გ ჰაშიში შეიძინა, ერთი ამდენივე **სახლში ჰქონდა გადამალული** და აი, დამატებითი ნარკოტიკების შეძენა **სერგო კარაპეტიანმა** უზომო ღვინის დალევით აღნიშნა, მაგრამ ლოთი ნარკომანი მილიციის მუშაკებმა ქუჩაში დააკავეს, მილიციის განყოფილებაში გაჩხრიკეს და ჯიბიდან ამოუღეს ვერცხლის ქაღალდში გახვეული **1,7 გ ჰაშიში, 1,3 გ ჰაშიში კი სახლში უპოვეს გადამალული!..**

როსტომ ხუბულოვს სერგო კარაპეტიანთან შედარებით ნარკომანობის უფრო ნაკლები სტაჟი აქვს — **სერგო კარაპეტიანი** სამგზის ნასამართლებია, **როსტომ ხუბულოვი** კი მხოლოდ ერთხელ იყო გასამართლებული ნარკომანობისათვის, მაგრამ მასაც ჰქონდა „უპირატესობა" **სერგო კარაპეტიანთან:** თუ **სერგო** უმუშევარი იყო, სამაგიეროდ **როსტომ ხუბულოვი** მე-13 სამრეწველო საწარმოს კომბინატში მუშაობდა მებეტონედ. იგი ისე კონსპირაციულად იღებდა ნარკოტიკებს, რომ როდესაც მის ბინაში **(დიღმის მასივი, 1 კვარტალი, მე-2 კორპ., ბინა № 60) აღმოუჩინეს 2,05 გრამი ჰაშიში,** ბევრმა არც კი დაიჯერა...

სერგო კარაპეტიანსა და როსტომ ხუბულოვს სასამართლოს განაჩენით 4-4 წლით შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა.

უფრო ორიგინალურად, „დახვეწილად" მოქმედებდა ადრე ნასამართლები **ჯიბრაილ ზაკირჯანოვი, ჯიბრაილი ბაქოელია (ცხოვრობს კალინინის ქ. № 9, ბინა № 15-ში).** იგი აზერბაიჯანის რკინიგზის სადგურ ალიატი-ნოვაიას რეფრიჟორატული სექციის მექანიკოსად მუშაობდა, გარეული მცენარე კანაფისაგან თვითონ ამზადებდა ნარკოტიკულ ნივთიერებას, რასაც შემდეგ ასაღებდა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. თბილისის რკინიგზის სადგურში იმ დროს დააკავეს, როდესაც **ოლია ჩეკურიშვილსა და ზურაბ მათიაშვილს ნარკოტიკული სიგარეტები შესთავაზა, ჩხრეკის დროს ზაკირჯანოვს აღმოაჩნდა 1,2 გრამი ჰაშიში.**

სასამართლო განაჩენით **ჯიბრაილ ზაკირჯანოვს** სამი წლით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ნარკომანია ჭირთა უჭირესია! არ უნდა დაგვავიწყდეს, ერთი დამპალი ვაშლი ერთ კალათ ვაშლს დაალპობს!..

ზაალ მესხიშვილი

ნახ. ჯ. ფირჩხაძისა

— კი ამბობენ, ანონიმურ წერილებს აღარ წავიკითხავთო, და ვითომ ასე უცებ უღალატებენ ჩვეულებას?

— რატომ არ გვესმის ამ კაცის ლაპარაკი! მიკროფონის ბრალია?

— არა, ბატონო, უძრაობის პერიოდის მსხვერპლია: ლაპარაკს გადააჩვიეს!

ნახ. ბ. ლოსიძისა

ცეკვის მასწავლებელი



მატარებლის მუსრუჭები

ხაშურელი მოქალაქეები ა. **კურტანიძე**, მ. ხარაზიშვილი, გ. თულაშვილი გ. ნოზაძე, ნ. ბერიძე, დ. **თორაძე** გულისტკივილით სწერენ რედაქციას, რომ ყოვლად უვარგის საბინაო პირობებში უხდებათ ცხოვრება: **45 ოჯახი ცხოვრობს ოთხ 15-ბინიან შენობაში, რომელიც №349 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელს ეკუთვნის.**

ახლა ეს ბინები ავარიულ მდგომარეობაშია, ვიდრე ვარგოდა, მატარებლის ხელმძღვანელობა და შინაგან საქმეთა განყოფილება ყველა წესის დაცვით წერდნენ იქ მობინადრეებს (მუშახელს), ახდევინებდნენ ბინის ქირას. ბოლო ხუთი წელია, კომუნალური მომსახურების გადასახადებს აღარ ახდევინებენ — ბინები ჩამოწერილია და თქვენს თავს მიხედეთო!

როგორც ყველა მატარებელს, ამ 349-ესაც ჰყავს თავისი უფროსი და მომჩივნებმაც ზევით აიხედეს. **ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ მმართველი ლ. მეგრელიშვილი და გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარე ვ. ქუთათელაძე აცნობებენ აღნიშნული საქმით დაინტერესებულ ხაშურის** რაიაღმასკომს, რომ ეს სახლები არ ირიცხება მათ ბალანსზე. **„თუმცა ზოგჯერ 349 უტარებდა მიმდინარე რემონტს, მაგრამ ეს გამონაკლისი ხდებოდა მცხოვრებთა თხოვნით. რაც შეეხება ხაშურში ახალი სახლის მშენებლობის საკითხს, იგი არ მიმდინარეობს დაუფინანსებლობის გამო. თუ ამისათვის გამოინახება სახსრები, მაშინ იქ ჩავასახლებთ 349-ის და ქვემოიჯარადრე ორგანიზაციის ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს არსებული წესის მიხედვით“.**

ხაშურის რაიაღმასკომი თანახმაა გადმოყოს ფართობი მშენებლობის დაწყებისათვის, რის შემდეგაც ავარიაში მყოფი სახლები აიღება.

მიწერ-მოწერა თბილისსა და ხაშურს შორის შეიძლება კიდევ გაგრძელდეს, ბევრმა მატარებელმაც ჩაიაროს ლიანდაგზე, მაგრამ ანტისანიტარიულ, დაზიანებულ სახურავებს ან კიდევ რაიმე უბედურ შემთხვევას ხომ არ უნდა ვანაცვალოთ სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მუშაკები? დრო არ იცდის, ხალხს მიხედვა სჭირდება!

ჯაბლეთ სერგიელი

ზესტაფონის კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძს

ვერაფერი გავიგე
მიღებული დეპეშის,
თვალები გავიწამე,
ცრემლით ვივსე მე პეშვი!..

ვერაფრით წავიკითხე,
ძალას ვატან თავს, ჭკუას...
ცოცხალ იყო, შველას გთხოვ,
შამპოლიონ ფრანსუას!

თვისთავზე იმ დეპეშის
გამომგზავნი მოვიდა:
დაემარხა მეუღლე,
გამხმარიყო გლოვითა.

საყვედურის თვით შერცხვა
(ჩამოზრდოდა თმა-წვერი),
როცა ვერ წაიკითხა
თავისივე ნაწერი.

იცანით? გამოიცანით!

ფულებს ფარად ვიფარებ
და ვაფარებ იმ მფარველს.

მას რომ ვპირისფარეშობ,
რაიონში ვთარეშობ.

კარიერა ასეა,
ბრილიანტის ფასია.

ხანჯლით, ტყვიით იბრძვიან
სიხარბისა კანკალით.
მე ქრთამი მომემატოს,
თქვენ ერთურთიც დაკალით!

ჩემს სამწყსოში რაც ხდება,
ჩემთვის ის სიზმარია!
იხტუნონ და იჩივლონ!..
ქარი ქრის და ქარია!

დღეს დანიშნულს ხვალვე ვხსნი,
ხვალ დანიშნულს — ზეგის წინ,
თორემ სასამართლოში
არ წავიდე მე მის წილ.

მეფარება მფარველი!
საფრთხე? არსით არ მელის!

გიორგი კაპანაძე

ნახ. მ. აბაშიძისა

ჟურვეულები

605
19 88

მეზობლები

იუმორესკა

— ჩემი სალამი ვლადიმერჯან, რაღა! — გვერდით მომიჯდა მწვანედშეღებილ სკამზე ჩემი ყოფილი მეზობელი. გაზაფხული ძალას იკრებდა... გამოცოცხლებულ პარკს გავხედეთ...

— ვა, რა კარგი ბავშვია! — თვალი გამექცა იქვე მოთამაშე ბიჭუნასკენ.

— კარგი მაგის თავი დაიმართოს, ყოველი დღე ბალი აცდენს, კარაკიანი პური არ შეჭამოს, ერთი სული აქვს... მგონი დომინოც თამაშობს, — გამოსცრა მან, ჩემი მეზობელია, რა!..

— აი ვაკაცი! — ახლა რეიტუზებში ჩაწკვართული ვაჟისკენ გავიხედე.

— ვაშაკი არა, ისა!.. ეგა ყოველ დღე მორფი, რამე... მამამისს ისე ცემს, ვითომ კოშკა იყოს... დედამისიც რამეა, რა! დღეში ექვსი კაბას იცვლის! ვაა, ბებიამისი იკითხე, 70 წლისაა და უჟე სიგარეტსა სომს, რა!..

— ნუთუ არც ის წყვილი მოგწონს, ნახე, როგორ უხდებიან ერთმანეთს!

— ოო, ეგენი ორივენი მორფი იჩხირამენ, ვერა ხედამ, გოგო ლურჯია, ბიჭი — მწვანე... ქვეყანა ლუსტრით ხომ არაა დახურული? ჩემი მეზობლები არიან, კვირაში ორჯერ შეუღლდებიან და გასცილდებიან. ვაა, მაგათი ამბავი მე მკითხე!..

— რა სიმპათიური მამაკაცია!..

— რა სიმპატიური, თუ ძმა ხარ! მთელი ტრესტი შეჭამა, ვერა ხედამ, რამოტოლა მუცელი აქვს? ეგა ეხლა შენ ნასადილევზე ნახე, ერთ რამედ ღირს, ვიცი ვინც არი, ჩემი მეზობელია... ანონიმა დავუწერე და მიჩივლა, ამის შემდეგ ეგ ადამიანია?

— კარგი, კარგი!.. აი, იმ მოხუცე ქალზე რაღას ეტყვი?

— ეგა მოხუცად გაჩვენებს თავსა, ისე ახალგაზრდაა, წლებსა მალამს, მაგისი შვილიშვილი ისეთი ფინთი ჯეილია!.. აკადემიაში ხუთებზე სწავლობს!.. ინტრიგან ნესჩასტნი! ჩემი მეზობელია... მაგის მეტი რა ვიცი!

— მოიცა, მოიცა! შენ ხომ არ მიწერ „ანონიმკებს", მეც ხომ შენი მეზობელი ვიყავი?! — შევძახე გაოცებულმა.

— შეგხედამ, კაცსა გევხარ! ინტრიგანტი ყოფილხარ, ძმაო! შენთან პურის ჭამაც არ შეიძლება! ვა, რა იჭვიანი ხალხი იბადება!.. შემომიბღვირა, წამოხტა და თვალს მიეფარა.

მურმან მერკვილიშვილი

„ესთეტი"

ჰალსტუხიანი „დენდი" „სვეტურ" სუფრაზე ჰყვებოდა:

— პირველი რომ ვხეთქე, რვა კბილი ჩავუმტვრიე ზევით და ქვევით, სახეზე ხელი მოვუსვი, კენჭების პარკი გეგონებოდა; მეორე რომ ვხეთქე, სულ მოვუნგრიე ყბა, ცერა თითებით გავუხსენი ლაყუჩები, ყურებამდე ავახიე, ყურებზეც ვუკბინე მაგრად. თმაში ჩავავლე ხელი, მინაზე ვარტყმევინე თავი, სამჯერ „ადიდასიანი" ფეხი ჩავარტყი დაჩუტულ ღიპში... დავლენავდი, მაგრამ უცებ გამახსენდა, ლექცია მქონდა, პანლური მივაყოლე და ლექციის ჩასატარებლად გავვარდი...

— რა საკითხებზე კითხულობთ ლექციებს? — წამწამთა რხევით იკითხა გადაპრანჭულმა გოგონამ.

ჩემი ლექციის თემა ასეთია: „ჰუმანიზმის პრინციპებისა და ესთეტიზმის აღზრდა ბავშვებში". — თავი მოინონა „ესთეტმა".

ლოვარდ ტუხაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 18 (1772) სექტემბელი გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 18. 08. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 09. 88 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი **1,5.** საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი **1,9,** საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 2101. უე 04797. ტირაჟი 137500. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, 3/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

ნახ. ჯ. ლოლუასი



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა გიქნია?! რატომ დაშალე მანქანა?!
— მთლიანად შესვლა ამიკრძალეთ და შინ ნაწილ-ნაწილ მაინც შევალ!..